## საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

## ბრძანება №178/04
2019 წლის 2 ოქტომბერი

ქ. თბილისი

### ფინანსური ინსტიტუტების ჩამონათვალის გაფართოებისა და სესხის გამცემი სუბიექტებისთვის ფინანსური ინსტიტუტის სტატუსის მინიჭების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 54-ე პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

ფინანსური ინსტიტუტების ჩამონათვალის გაფართოების ფარგლებში, კომერციულ ბანკთან ფინანსური გირაოს ხელშეკრულების გაფორმების მიზნებისათვის, სესხის გამცემ სუბიექტებს, რომლებიც წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, მიენიჭოთ ფინანსური ინსტიტუტის სტატუსი.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი | კობა გვენეტაძე